

ფაშიზმის თეორიები დოქტრინა და კრიტიკა

შემდგენლები:

ელენე ლადარია,
გიორგი მაისურაძე, ლუკა ნახუცრიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2015

ფაშიზმის თეორიები
დოქტრინა და კრიტიკა

მთარგმნელები და რედაქტორები:
ელენე ლადარია,
ლუკა ნახუცრიშვილი

ტექნიკური
რედაქტორი: თორნიკე ჭუმბურიძე
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან ღონღაძე

ISBN 978-9941-18-238-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი	5
ლუკა ნახუცრიშვილი ემანუელ ლევინასის „რამდენიმე განაზრება ჰიტლერიზმის ფილოსოფიის შესახებ“	14
პაულ ტილიხი სოციალისტური გადაწყვეტილება	40
<i>გერმანულიდან თარგმნა ლუკა ნახუცრიშვილმა</i>	
ერნსტ იუნგერი ტოტალური მობილიზაცია	96
<i>გერმანულიდან თარგმნა ლუკა ნახუცრიშვილმა</i>	
ვალტერ ბენიამინი გერმანული ფაშიზმის თეორიები	126
<i>გერმანულიდან თარგმნა ლუკა ნახუცრიშვილმა</i>	
ჯოვანი ჯენტილე ფაშიზმის დოქტრინა	142
<i>იტალიურიდან თარგმნა ელენე ლადარიამ</i>	
ჟორჟ ბატაი ფაშიზმის ფსიქოლოგიური სტრუქტურა	149
<i>ფრანგულიდან თარგმნა ელენე ლადარიამ</i>	
გიორგი მაისურაძე ფაშიზმი და „ერთობის“ ძალა	190

შესავალი

ადოლფ ჰიტლერის „ჩემი ბრძოლის“ (შანხაის გამოცემის მიხედვით) შემოკლებული ქართული თარგმანი 1990-იანი წლების დასაწყისშია გამოქვეყნებული და მისთვის წამძღვარებულ კომენტარში გამომცემელი გაცხადებულად მიუთითებს საბჭოთა დიქტატურის დამხობის შემდეგ ჰიტლერისეული იდეოლოგიის ხელახალი, „მიუკერძოებელი შეფასების აუცილებლობას“. ეს შენიშვნა ყურადსაღებია, რამდენადაც, ჰიტლერის წაკითხვით თუ წაუკითხვად, საქართველოს უახლოესი ათწლეულების ისტორია სავსეა ძალადობრივი ამოხეთქვის მაგალითებით (ეროვნულ უმცირესობებთან შეიარაღებული კონფლიქტები, რელიგიური უმცირესობების ჩაგვრა, თუ 17 მაისი) და ისეთი სპეციფიური აფექტებისა და ჟარგონის აღმოცენებით, რომლებიც სრულიად მართებულად შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფაშისტური – თავისი რასისტული, სოციალური, შოვინისტური, მილიტარისტული, რომანტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.

ამდენად, შეგვიძლია ვცადოთ პარალელების გავლება დღევანდელ საქართველოსა და ოთხმოციოდე წლის წინანდელი ევროპის იმ რეალობას შორის, რომელსაც წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი თარგმანები აღწერენ. რაკი ეს ტექსტები ან ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე ანაც მისი მმართველობის ადრეულ წლებშია დაწერილი, კრებული, ფაქტობრივად, სისტემურად განზე იტოვებს ყველა სხვა ფაშიზმთან მიმართებაში გერმანული ნაციზმის სპეციფიკისა და განუმეორებლობის საკითხს, რომელიც მთელი სიმწვავით მხოლოდ მას შემდეგ დადგა, რაც გამოაშკარავდა საკონცენტრაციო ბანაკების რეალობა და – წმინდა ლოგიკური აზროვნებით რთულად მოსახელთებელი – საზრისი.¹ კრებული ყურადღებას უფრო მეტად იმ სოციალურ წანამძღვრებზე და პირველ რიგში, იმ საზოგადოებრივ აფექტურ ენერგიებზე

1 ნაციზმის სპეციფიურობისა და შეუდარებლობის შესახებ ქართულ ენაზე იხ. თეოდორ ადორნოსა და მაქს ჰორკჰაიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკის“ თარგმანისთვის დევი დუმბაძის მიერ დართული ესე „განმანათლებლობა და კატასტროფა. რატომ არის „განმანათლებლობის დიალექტიკა“ აქტუალური“, საგა, თბილისი, 2012, გვ. 371-454.

ამახვილებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ადამიანთა ერთად ყოფნისა და საზიარო სივრცის ფაშისტურ ყაიდაზე ანუ ათასგვარ ეთნიკურ, კულტურულ თუ სოციალურ „წმენდაზე“ დაფუძნებულ მოწყობას.

აფექტებს – ემოციებისა და პათოსის, ადამიანური ფსიქიკის საფუძველმდებარე, მუსიკალური ტონალობის დონეზე გამონატულ მიდგომებს, ქცევებს, უესტებს – იმიტომ ესმება ხაზი, რომ სწორედ 1980-იან წლებში საქართველოში გამოღვიძებული და დღემდე ინტენსიურად და ათასნაირი ვარიაციებით მზარდი ფაშისტური აფექტები წარმოადგენენ იმ სიახლეს, რომლითაც მოხდა და ხდება იმ ნაციონალისტური ფორმებისა და ფიგურების „შევსება“, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაძრულმა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მოხაზა და შემდეგ უკვე სტალინის ეპოქის საბჭოთა კავშირში გამყარდა და განიცადა კანონიზაცია.² სწორედ ეს სპეციფიკური აფექტური ლოგიკა იძლევა 1920-30-იანი წლების ევროპასთან პარალელის გავლების საშუალებას, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს დაშვებას, რომ ორ სხვადასხვა ისტორიულ დროსა და გეოგრაფიულ სივრცეში (1920-30-იანი წლების დასავლეთ ევროპა და 1980-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველო) ერთნაირი ტენდენციები შეიძლება გაჩნდეს. ეს დაშვება, ცხადია თითოეული მათგანის განუმეორებლობის დაკნინების საფრთხეს აჩენს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს შედარებითი მიდგომა სათანადო არგუმენტატიული და რიტორიკული სიმძაფრით აცხადებს, რომ ფაშიზმი არ არის წარსულს ჩაბარებული მოვლენა, საშვილიშვილოდ მოგებულ ომში მოხვეჭილი ალაფივით, როგორადაც ფაშიზმს განსაკუთრებით სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღიქვამენ ხოლმე. თუმცა, ეს არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპას ეხება, არამედ იმ დასავლეთსაც, რომელმაც, თუ

2 სტალინის დროს და მისი უშუალო თაოსნობით ილია ჭავჭავაძის მიერ მომზადებული ეროვნული „მასალის“ გადამუშავებისა და კანონიზაციის პოლიტიკურ-კულტურულ წანამძღვრებზე, ტექნიკებზე და – დღევანდელი საქართველოსათვის უშუალოდ აქტუალურ – შედეგებზე იხ. გიორგი მაისურაძისა და ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინის სისტემური გამოკვლევა: *Sonniges Georgien. Figuren des Nationalen im Sowjetimperium [მზიური საქართველო. ეროვნულის ფიგურები საბჭოთა იმპერიაში]*, Kadmos, Berlin, 2015.

ფილიპ ლაკუ-ლაბარტსა და ჟან-ლიუკ ნანსის დავეყრდნობით, ფაშიზმი და ნაციზმი წარმოშვა არა როგორც შემთხვევითი ისტორიული გადახრები, რომელთა დაბრუნებაც დღევანდელ დღეს უკვე სრულებით გამორიცხულია, არამედ როგორც დასავლური აზროვნების ლოგიკაშივე ჩადებული შესაძლებლობა, რომლის დაბრუნებასაც ვერაფერი გამორიცხავს (ამის დასტურად დღევანდელ დასავლეთ ევროპაში ნეოფაშისტური მოძრაობების მომძლავრებაც გამოდგება) და რომელთან შესაწინააღმდეგებლადაც აზროვნების მუდმივად ხელახალი ძალისხმევაა საჭირო.³

და მაინც რატომ მიწისა და სისხლის წარმართობის – „პაგანუსის“ – ეს გამუდმებული „დაბრუნება“⁴, ქრისტიანული უნივერსალიზმის, ლიბერალიზმისა თუ თანამედროვე კულტურული პლურალიზმის მიუხედავად? სწორედ აქ ხდება ცხადი, რომ ერთნაირად არასაკმარისია ფაშიზმისა და მის მიერ მოწეულ ძალადობათა ახსნა როგორც წმინდა სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით გარკვეულ სწორხაზოვან მარქსისტულ ჭრილში, ისე ერისა და ნაციონალიზმის საკითხის კონსტრუქტივისტული ხედვით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგორებული ფაშისტური ნაციონალიზმის ტალღასთან მიმართებაში სლავი თიჟეკი მართებულად აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია, ერი უბრალოდ გარკვეული დისკურსულ-კულტურული პრაქტიკების მეშვეობით „გაკეთებული“⁵ შედეგი იყოს, თუ ამ პრაქ-

3 შდრ. Philippe Lacoue-Labarthe, Jean-Luc Nancy, *Le mythe nazi*, Editions de l'Aube, 1991, გვ. 71.

4 დასავლური ისტორიის მსვლელობისას დასაბამისეული ქრისტიანული უნივერსალიზმის მზარდ ჩანაცვლებაზე კვლავაც პარტიკულარისტული მიდგომებით რელიგიასა და პოლიტიკაში ის ვიორგი მაისურაძის სტატია „პაგანუსის დაბრუნება“, „ზურაბ კიკნაძე – 80: საიუბილეო კრებული“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

5 ერნესტ გელნერისა და ბენედიქტ ანდერსონის თეორიებზე დაყრდნობით, ერის როგორც „გაკეთებულის“ და „კეთებას“ (making) დაქვემდებარებული ისტორიულ-კულტურული შედეგის მეთოდოლოგიურ მიდგომას ეყრდნობა რონალდ გრეგორ სიუნიც თავის წიგნში ქართველი ერის ისტორიის შესახებ *The Making of the Georgian Nation*, Indiana Press University, 1994.

ტიკებს ზურგს რაღაც რეალური აფექტები, ეროვნულ სხეულში ჩართულობის რეალური სიამოვნების განცდა არ უმაგრებს.⁶ რომ არა მიწისა და სისხლის თუ ფაშიზმებისთვის დამახასიათებელი სხვა ორგანულ-ხთონური ფიგურების მიერ მობილიზებულ ენერგიათა რეალური ონტოლოგიური წონა, ვერც ის აიხსნებოდა, თუ როგორაა შესაძლებელი მშრომელთა სოციალისტური ბრძოლისა და მისი მკაფიოდ კრიტიკული სოციო-ეკონომიკური შინაარსების სრული პერვერტირება და ჩანთქმა ნაციონალისტურ-ფაშისტურ მასობრივ ალტყინებაში, მისი ამ აფექტური ალტყინებით ჩანაცვლება, რის შედეგადაც პოლიტიკური და ეკონომიკური სამართლიანობის მიღწევის ყოველგვარი სოციალისტური მიზანი ცამტვერდება და მნიშვნელობას კარგავს, რადგან მშრომელი თავისი სოციო-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა თუ ჩაგრული მდგომარეობის რევოლუციური დამსობის ნაცვლად თითქოს რაღაც უფრო ცხოველითა და ხელჩასაჭიდით კმაყოფილდება, რაც მონობას ყველაზე სანუკვარ რამედ უქცევს.

სწორედ ამგვარი აფექტების წარმომავლობასა და მნიშვნელობას და სოციალიზმის სულისკვეთებასთან და საზოგადოებრივ-კლასობრივ სქემასთან კოლიზიის ხასიათს ეხება ფრანგი მწერლის, ფილოსოფოსისა და ანთროპოლოგის ჟორჟ ბატაის 1933 წელს დაწერილი სტატია „ფაშიზმის ფსიქოლოგიური სტრუქტურა“ და ცნობილი გერმანელი პროტესტანტი თეოლოგის პაულ ტილიხის წიგნი „სოციალისტური გადაწყვეტილება“; რომლის შესავალსა და პირველ ნაწილსაც გთავაზობთ წინამდებარე კრებულში. „სოციალისტური გადაწყვეტილება“ 1933 წელს, გამოსვლისთანავე აიკრძალა და პაულ ტილიხი პირველი არაებრაელი პროფესორი გახდა, ვისაც აკადემიური თანამდებობა დაატოვებინეს. ფრანგი ებრაელი ფილოსოფოსი ემანუელ ლევენასიც, რომლის მოსაზრებებიც ჰიტლერისეული იდეოლოგიის თაობაზე კრებულში შემავალ ცალკე სტატიაში განიხილება, ტილიხისა და ბატაის მსგავსად, სრულიად სერიოზულად აღიქვამს მიწისა და სისხლის ძალებს და დასავლეთის სულიერი ისტორიის სხარტი აღწერის მეშვეობით ცდილობს,

6 შდრ. Slavoj Žižek, *Tarrying with the Negative. Kant, Hegel, and the Critique of Ideology*, Duke University Press, 2003, გვ. 202.

დასავლური აზროვნების წიაღშივე ამოიცინოს ფაშისტურ-ნაცისტური კატასტროფის პოტენციალი.

ორივე ავტორი ძირეულად მიესაღმება ლიბერალიზმს, როგორც ადამიანის მიერ ქრისტიანობის გამოცდილების საფუძველზე საკუთარი სულიერი თავისუფლებისა და თვითგანმსაზღვრელობის გამაცნობიერებელ დოქტრინას, რომელიც, რაწამს მოპოვებულია, ველარ უარიყოფა, რადგან შეუძლებელია, თავისუფალმა სულმა საკუთარივე თავისუფლება უარყოს. ამიტომაცაა წარუმატებლობისთვის განწირული მანკიერება ნებისმიერი ფაშიზმი თუ პოლიტიკური რომანტიზმი, რადგან ამ დროს სული საკუთარივე თავისუფლების წაშლას ცდილობს საკუთარი თავის ისეთ ფატალურ, დეტერმინირებულ და დეტერმინისტულ ძალებთან გაიგივებით, როგორებიცაა რასობრივი, სისხლისმიერი, ბიოლოგიური მიკუთვნებულობა თუ თითქოსდა გადაულახავი სოციო-ეკონომიკური პირობები. ამავედროულად ორივე ავტორი ხაზს უსვამს ლიბერალიზმის უკმარისობას, როდესაც იგი სულიერი თავისუფლების აბსტრაქტულ აფირმაციაში რჩება და არ ივსება იმ მარქსისეულ-მარქსისტული ფუნდამენტური მოთხოვნით, რომ ადამიანური თავისუფლება უბრალოდ ფილოსოფიურ თუ სამართლებრივ დოკუმენტებში წაკითხულ ლამაზ სიტყვებად კი არ დარჩეს, არამედ მისი განხორციელების საშუალება იმ სოციალურ ფენებსაც მიეცეთ, რომლებიც მათგან დამოუკიდებელი სოციო-ეკონომიკური გარემოებების ნიადაგზე მონობის პირობებში იმყოფებიან და „თავისუფალი არჩევანი“ მხოლოდ გამაძლარი ცინიკოსის მიერ ზევიდან გადმოგდებულ სანუგეშო ლუკმად ერგებათ.

თეორიულ დონეზე მშრომელის სოციო-ეკონომიკური სტატუსისა და პირობების სრულ ესთეტიკურ პერვერტირებას ძალზედ შთამბეჭდავად ახდენს ერნსტ იუნგერი, რომელიც გერმანელი ფილოსოფოსისა და იურისტის, კარლ შმიტის, ან იტალიური ფაშიზმის ფილოსოფოსის, ჯოვანი ჯენტილეს მსგავსად ფაშიზმთან იმ ორაზროვნად დაკავშირებულ ფიგურათა რიგს მიეკუთვნება, დღემდე აქტუალური რომ რჩებიან, რადგან, განსხვავებით ჰიტლერისა თუ ალფრედ როზენბერგის მდარე ხარისხის პროზისა და მსჯელობებისგან, მათი კომპლექსური ინტელექტუალური მემკვიდრეობა დასავლური სააზ-

როვნო-ლიტერატურული ტრადიციის დღესაც ანგარიშგასაწევი გამოვლინებებია. რამდენადაც კრებულში იუნგერისა და ჯენტილეს ტექსტებიც შედის, მისი სათაური „ფაშიზმის თეორიები“ ნათესაობითი ბრუნვის ორაზროვნებით გულისხმობს როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკულ რეფლექსიებს, ისე ფაშიზმის დამაფუძნებელ აფირმატიულ თეორიებს.

იუნგერი თავის ცნობილ ესეში „ტოტალური მობილიზაცია“ მოდერნულობის პრობლემებთან – მზარდი საზოგადოებრივი დიფერენციაცია, ინდუსტრიალიზაცია, ცოდნისა და უნარების ფრაგმენტაცია, ინდივიდუალიზაცია და ადამიანურ თუ საწარმოო ურთიერთობათა მექანიზაცია, მათი „ბუნებრივი“ ორგანული ურთიერთკავშირის დაკარგვა – შერიგებას და ახალ, ფოლადისგან გამოწრთობილ, სრულიად არარომანტიკულ ორგანულობას ესწრაფვის ომითა და ტექნოლოგიების განვითარებით ფაშისტური ალტაცების საფუძველზე. ვალტერ ბენიამინის 1930 წლის კრიტიკული რეცენზია იუნგერის მიერ გამოცემულ კრებულზე *ომი და მეომარი* (რომელშიც შედის იუნგერის ხსენებული სტატია) თავის მხრივ ხაზს უსვამს იუნგერისა და მის სხვა თანამოაზრეთა მხრიდან ომის ყალბ ჰეროიზაციას იმ პირობებში, როდესაც პირველ მსოფლიო ომში მასობრივი განადგურების იარაღების გამოგონების შედეგად ომი სრულად კარგავს „გმირთა“ პირისპირ შერკინების ხასიათს და ტექნიკის მეშვეობით ჯარისკაცთა ანონიმური მასების ჟღერის სახეს იღებს. ბენიამინი თავის რეცენზიაში გამოთქმულ მოსაზრებებს ზოგჯერ სიტყვა-სიტყვითაც კი იმეორებს 1935 წელს დაწერილ ესეში „ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ და ფაშიზმის მიერ საკუთრებისა და საწარმოო ურთიერთობების შენარჩუნების პირობებში პროლეტარიზებული მასების სოციალურ-პოლიტიკური წყრომის სხვა მიმართულებით გადამისამართებას და ამ მასათა „კონვერტაციას“ იმპერიალისტური, ტოტალური ტექნოლოგიური ომის საზარბაზნე ხორცად ომის ესთეტიკური გაფეტიშების მეშვეობით, პოლიტიკის ესთეტიზაციას არქმევს.⁷

7 შდრ. „ბოლოსიტყვაობა“, ვალტერ ბენიამინი, „ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“, მთარგმნ.

წინამდებარე კრებული, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამომწურავი იყოს. მის გარეთ დარჩა როგორც 1930-იანი, ისე შემდგომი პერიოდის უამრავი ორიგინალური ტექსტი ფაშიზმის არსის შესახებ. ტექსტების დროითი შეკავშირებულობის შესანარჩუნებლად სრულიად ცნობიერად ითქვა უარი, მაგალითად, ჟან-ლიუკ ნანსისა და ფილიპ ლაკუ-ლაბარტის უკვე ხსენებული „ნაციზმის მითის“ ჩართვაზე. ფაშიზმის დროინდელი ევროპის თანამედროვე ავტორებიდან კრებულის გარეთ დარჩნენ ისეთი ფართო პროფილის მოაზროვნეებიც, როგორებიც იყვნენ ერნსტ ბლოხი, ზიგფრიდ კრაკაუერი და ჰელმუტ პლესნერი ან თუნდაც გერმანელი ებრაელი რომანისტის, ვიკტორ კლემპერერის 1946 წელს გამოცემული განაზრებები მესამე რაიხის ყოფითი და სადღესასწაულო ენის შესახებ, რომელთაც ავტორი თავდაპირველად დღიურში იწერდა, ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლიდან მოყოლებული და ბოლოს მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე იძულებითი სამუშაოების შესრულებისას.⁸ კლემპერერის ნაშრომის თარგმანა იმდენად იქნებოდა შეუძლებელი, რამდენადაც იგი მთლიანად გერმანული ენისათვის სპეციფიურ მორფოლოგიაზე, ეტიმოლოგიაზე და კონოტაციებზე დგას, არადა იშვიათია მსგავსი სისადავისა და სიზუსტის ჩაღრმავება ფაშისტური ჟარგონის როგორც ყველაზე უღიმღამო, ყოფით, ისე ყველაზე მჭექარე სადღესასწაულო გამოვლინებებში. ალბათ კლემპერერის წიგნის თარგმნაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომელიმე ქართველ ფილოლოგს გაეკეთებინა მსგავსი დაკვირვებები დღევანდელი ქართული ყოფითი მეტყველების სრულიად სპეციფიკურად ქართულ ენობრივ ასპექტებზე მათში ფაშიზმის შესაძლო ნაკვალევების აღმოსაჩენად.

სამაგიეროდ, შედარებით ზოგადი სახით ეხება „პოლიტიკურ რომანტიზმად“ განსაზღვრული ფაშიზმ(ებ)ის ენას პაულ ტილიხი, რომელიც მართებულად შენიშნავს, რომ მსგავს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მოძრაობას უჭირს საკუთარი თავის გამოხატვა ანალიტიკურ მეცნიერულ ჩარჩოში, რადგან რეფლექსია

დევი დუმბაძე, საგა, თბილისი, 2013, გვ. 81-85.

8 იხ. Victor Klemperer, *LTI*, Reclam, Leipzig, 1980.

მისი უპირველესი მტერია. ამდენად, პოეზია თავისი უშუალოდ აფირმატიული პათოსითა და უზუსტობით, იქცევა ფაშიზმისთვის ყველაზე ადეკვატურ ენობრივ რეგისტრად.⁹ თავის მხრივ, კრებულში შესული ზოგიერთი სტატია, და განსაკუთრებით ალბათ ჟორჟ ბატაისა და ვალტერ ბენიამინის ტექსტები, მკითხველს აგრძნობინებს, რომ ფაშიზმის სწორხაზოვანი ლოგიკისა და ენის წინააღმდეგ სააზროვნო ძალების მობილიზება ხშირად სწორედ ენობრივი გამოხატვის ფორმების გართულებასაც გულისხმობს. თითქოს ფრაზებისთვის სრულიად ჰერმეტიული და ხანდახან მისნური ხასიათის მინიჭებით (რისი მწვერვალიც, მითუმეტეს ანტი-ფაშისტურ კონტექსტში, ალბათ ადორნოსა და ჰორკჰაიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკა“) ერთგვარი შეწინააღმდეგების სტრატეგია ყალიბდებოდა, რომელიც, ერთი მხრივ, გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ვერანაირი იოლი ფაშისტური იდეოლოგია ვერ მოახერხებდა ამ ტექსტების შესრუტვას, მეორე მხრივ კი, მათთან შეხებაში მოსულ მკითხველს ძალაუნებურად იძულებულს გახდიდა, დაეძაბა ანალიტიკური უნარები და ამით თავისთავად უკვე დაერღვია ის ჯადო, რომელსაც ფაშისტური იდეოლოგიის პოეტურად შეფუთული მზა ფორმულები და რეცეპტები ავრცელებენ.

ენასთან ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, მთარგმნელებსაც განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებს: როგორ დაიცვა ბალანსი შინაარსობრივ სიცხადესა და იმ სტილისტურ გაუმჭვირვალობას შორის, რომელიც თავად შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს? როგორ მოიქცე, რათა ის, რაც ორიგინალში – ხშირად

9 იმ გარემოების შესახებ, რომ პოეტურ-რელიგიური სიტყვათმარაგი და კილო ხშირად დღესაც უმთავრესი და ყველაზე წარმატებული რიტორიკული ხერხია ქართულ პოლიტიკაში და, ამდენად, უშუალო კავშირშია დემოკრატიზაციის ზერელე ხასიათთან და ფაშისტური იდეოლოგიის ფორმების ჩამოყალიბებისადმი საზოგადოების მიდრეკილებასთან, იხ. წინამდებარე შესავლის ავტორის ინგლისურენოვანი რეცენზია გიორგი მაისურაძის წიგნზე „მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფლების სული“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), „*Orthodox Ethics and the Spirit of Unfreedom* by Giorgi Maisuradze“, *Identity Studies*, vol. 5, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

სრულიად განზრახ – ბუნდოვნადაა დატოვებული, თარგმანში ზედმეტად არ გააცხადო? ამ მხრივ, კრებულის ორივე მთარგმნელისთვის, რომლებმაც ამავე დროს ერთმანეთს გაუწიეს რედაქტორობა, ორმაგად მნიშვნელოვანი და დასაფასებელი იყო ის შრომა, რაც გასწია თორნიკე ჭუმბურიძემ თარგმანების საგულდაგულო ენობრივი და შინაარსობრივი გადამოწმებით.

ლუკა ნახუცრიშვილი